

პროექტის შესახებ

მოგესალმებით, მუხრანის N3 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ნინო გერაძე.

ვფიქრობ პროექტი „ჩერნობილის კატასტროფა“ დაეხმარება მოსწავლეებს თავისი ცნობიერების ამაღლებაში და შესწავლილი მასალის განმტკიცებაში, ასევე თავის დაცვას რადიაციისგან გამოწვეული პრობლემების მიმართ.

ჩემს მსმენელს ვთხოვ ყურადღება სულ პატარა ნაწილებზეც კი გაამახვილოს რადგან ეს ძალზედ აუცილებელია საკუთარი თავის დაცვაში!

მადლობა ყურადღებისთვის!




ყველაფერი დაიწყო...

1986 წლის 26 აპრილს უკრაინის ტერიტორიაზე (იმ დროისთვის — უკრაინის სსრ) მდებარე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე ბლოკის ავარია. ეს იყო ბირთვულ მოვლენათა საერთაშორისო შკალით მეშვიდე დონის ერთადერთი შემთხვევა ისტორიაში. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც მისი მიმდებარე ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. ის შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ენერგეტიკის ისტორიაში, როგორც დაღუპულთა და მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობით, ისე ეკოლოგიური დაბინძურებითა და ეკონომიკური ზიანით.

ავარიის შედეგად გაჩენილმა რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა სსრკ-ის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთი ევროპა, სკანდინავია, დიდი ბრიტანეთი და აშშ-ს აღმოსავლეთი ნაწილი. რადიოაქტიური ნალექის 60% დაილექა ბელორუსიის ტერიტორიაზე. დაბინძურებული ზონიდან ევაკუირებული იყო დაახლოებით 200 000 ადამიანი.

ჩერნობილის ავარია სსრკ-სთვის გახდა უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა. მისი მიზეზების გამოძიება დიდი ხნით გაჭიანურდა. ფაქტების ინტერპრეტაცია და ავარიის ვითარების ანალიზი დროთა განმავლობაში იცვლებოდა და ამიტომ დღემდე მასზე სრული და ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.



მეცნიერებს ეგონათ, რომ სახიფათო არაფერი იყო მაგრამ, 3 დღის შემდეგ რადიაცია მთელს მსოფლიოს მოედო, მესამე დღეს ჯარისკაცები სპეციალური ფორმებით დადიოდნენ და ამოწმებდნენ რადიაციის დონეს რომელიც სასიკვდილო დოზას 15000-ჯერ აღემატებოდა. ხალხის ევაკუაცია მხოლოდ მეოთხე დღეს დაიწყო მაგრამ აზრი დაეკარგა. რადიაციამ იმოქმედა არა მხოლოდ ადამიანებზე არამედ მათ შთამომავლობაზეც, ონკოლოგიური დაავადებები შვილიდან შვილზე შვილიშვილიდან შვილიშვილზე გადადიოდა. მეექვსე დღეს კი რადიაციის დოზა სასიკვდილოს 600000-ჯერ აღემატებოდა. მეცნიერებმა ივარაუდეს რომ ჩერნობილში ჩასვლა მხოლოდ 20000 წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.



მუტაცია

აფეთქებამ არა მხოლოდ ცუდად განაღდა ადამიანები არამედ გამოიწვია მუტაცია. მუტაციის დროს იბადებოდნენ ბავშვები ორი თავით ან თუნდაც 8 თითით, ეს იყო გენეტიკური! ამის გამოსწორება კი არავის შეუძლია. ამბობენ რომ აფეთქების დროს მხოლოდ 31 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ვფიქრობ ასეთ მამტაბურ აფეთქებას მხოლოდ 31 ადამიანი ვერ შეეწირებოდა. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ცნობილი ახლაც არაა, გაქრა სურათები, გაზეთები, ჟურნალები. ისიც კი არ გაურკვევიათ რის გამო მოხდა აფეთქება: პერსონალის დაუდევრობის თუ ინსტრუმენტების გაუმართავობის გამო!



ეს კი არის

ერთ-ერთი მუტაცია განცდილი ცხოველი!

როგორია ჩერნობილი 33 წლის შემდეგ?

პროექტის გაკეთების პროცესში გამიჩნდა უამრავი კითხვა მაგრამ ჩემი ყურადღება მაინც კითხვამ-„როგორია ჩერნობილი 33 წლის შემდეგ“-მა მიიქცია!

მართლაც რომ საინტერესოა, თუ როგორ შეიცვალა ან რაიმე თუ დარჩა კატასტროფის შემდეგ! ვფიქრობ სანამ ეს უბედურება დაატყდებოდა უკრაინას თავს ჩერნობილი საკმაოდ ღამაში იყო. მაგრამ... ეს ხომ მხოლოდ უკრაინის განსაცდელი არ იყო, რადიაციული ღრუბლები მთელს მსოფლიოს მოედო, წვიმებმა კი რადიაცია გაავრცელა!



და...საერთოდ რა არის რადიაცია?!

რადიაცია არის ზოგადი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ნებისმიერი ფორმის ენერგიას, რომელიც სივრცეში მოძრაობს ტალღის ან ნაწილაკის სახით.

ყოველი ჩვენგანი იღებს გარკვეულ ფონურ რადიაციას ისეთი ნატურალური წყაროებიდან, როგორებიცაა მიწა, კლდეები და ქვები. წყალი და ზოგიერთი საკვებიც კი (მათ შორის ბანანი, კარტოფილი და თხილიც) შეიცავს რადიაციის მცირე რაოდენობას.



როგორ იგებენ რადიაცია მაღალია თუ დაბალი?!

რადიაციას ვერც ვხედავთ და ვერც ვხედავთ მაგრამ არსებობს ხელსაწყო-დოზიმეტრი რომლითაც შეგვიძლია გავიგოთ როგორია რადიაციის დონე.



რა ვქნათ თუ ჩვენს ადგილსამყოფელზე რადიაციის დიდი დონეა?!

თუ გავიგებთ რომ ჩვენს ადგილსამყოფელზე დიდი რაოდენობით რადიაციაა პირველ რიგში არ ჩავვარდეთ პანიკაში გამოსავალი არსებობს, უნდა შევიდეთ დაწესებულებაში რომელსაც ფანჯრები და კარები ეკეტება, გამოვიცვალოთ ტანისამოსი და გადავყაროთ. მოვიმარაგოთ წყალი, არ ავიღოთ იგი ჭიდან!! ჩავრთოთ ტელევიზორი და მოვუსმინოთ ინფორმაციას!



**იმედია ჩემი მოწოდებული
ინფორმაცია და რჩევები
გამოგადგებათ თუ ოდესმე კიდევ
მონდება ასეთი აფეთქება!**

გმადლობთ

ყურადღებებისთვის!